დაბა ასპინძისა და მისი შემოგარენის ლანდშაფტური დაგეგმარება ქალაქთგეგმარებისთვის

მარიამ სანდროშვილი

mariami.sandroshvili220@ens.tsu.edu.ge

გეოგრფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

ანოტაცია

მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარსიხის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია სივრცით- ტერიტორიული მოწყობა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებია ნებისმიერი ქეყნისთვის.

ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობა კომპლექსურად აგვარებს სხვადასხვა სფეროში შექმნილ პრობლემებს და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, ინვესტიციის მოზიდვას, ეკოლოგიური მდგომარეობის მოწესრიგებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ტერიტორიულ–სივრცით დაგეგმარებას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა დარგთაშორისი პოლიტიკის განვითარებაში რაც უზრუნველჰყოფს მდგრად სოციალურ მდგომარეობას.

კვლევის ობიექტია ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სადაც საველე და კამერალური კვლევის შედეგად განხილულია ყველა პრობლემა რაც წარმოდგენილია საკვლევ ტერიტორიაზე. ნაშრომში ასევე განხილულია დაბა ასპინძისა და მისი შემოგარენის ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებები.

სოციალური გამოკითხვის შედეგად მოსახლეობასთნ ერთად განხილულია დაბა ასპინძისა და მისი შემოგარენის განვითარების პერსპექტივები.
შედეგად შეიქმნა სვადასხვა ცხრილები და რუკები.